სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

25 დეკემბერი, 2025 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/42

ბსუ-ს მე-3 მისიის ფარგლებში ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის "სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაცია" პირველი ნაკადის მსმენელთა სწავლის დაფინანსების თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, **ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის** (2025-2031 წ.), ,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების, ,,ბსუ-ს მიერ საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანასთან დაკავშირებით **მესამე მისიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ"** ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის N07-01/62 გადაწყვეტილების, ბსუ-ს „სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაციის" მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 2 ივნისის N01-02/103 ბრძანების,** ,,ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაცია" სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 30 აპრილის N01-10/50 ბრძანების, ,,ბსუ-ს მოკლევადიანი და სარეზიდენტო პროგრამების პირველადი ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 19 თებერვლის N07-01/04 გადაწყვეტილების და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორის, ფსიქოლოგიის კლინიკის კოორდინატორის, პროფესორ ქეთევან

ბერიძის სამსახურებრივი ბარათების (2025 წლის 30 ოქტომბრის N1431557, 2025 წლის 25 დეკემბრის N1841778), ბსუ-ს 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების (N01-10/97, 27.11.2025 წ.), საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (24/12/2025 *MES9250001833183), წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და საბჭოს სხდომის ოქმის (N07-02/11, 25.12.2025წ.) საფუძველზე წარმომადგენლობითი საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ბსუ-ს მიერ საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანასთან დაკავშირებით მესამე მისიით გათვალისწინებული აქტივობის განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნეს ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის “სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაცია” **პირველი ნაკადის მსმენელთა** (ერთი ჯგუფის) **უფასო სწავლება (ბიუჯეტი 10 000 ლარი,** ჯგუფში მსმენელთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა - 10-25 მსმენელი).
2. წინამდებარე ბრძანების აღსრულების მიზნით გამოიცეს ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებები, ბსუ-ს რეგულაციების, 2025 წლის ბიუჯეტის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ფსიქოლოგიის კლინიკის კოორდინატორს, პროფესორ ქეთევან ბერიძეს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**